უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნის პროექტი

საერთაშორისო ურთიერთობები

შპს ალტე უნივერსიტეტი

2023 წლის 11 იანვარი

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი	ირაკლი
გვარი	მანველიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ალტე უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	202192643

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე	მე-6
4	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
7	სწავლების ენა	ინგლისური ენა
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0177, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 2
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	10/12/2021 MES 2 21 0001351860
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 10 დეკემბერი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2022 წლის 12 დეკმბერი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 11დეკემბერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტ

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამისათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი

1. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის რეკომენდებულია, გახდეს სავალდებულო კვლევის მეთოდები;
2. რეკომენდირებულია დაზუსტდეს სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო უსაფრთხოება“ წინაპირობა ან მოხდეს სასწავლო კურსის მოდიფიკაცია სწავლების საფეხურის შესაბამისად;

3. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობის თანამედროვე განზომილება“ წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების შესავალი კურსები, ინგლისური ენა (3 ან 4) და შესაბამისად, გადანაცვლდეს კურიკულუმში;

4. სასწავლო კურსი „საქართველოს საგარეო პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში“ წინაპირობის გარეშეა წარმოდგენილი. რეკომენდებულია, წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციებში“;

5. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის „საჯარო პოლიტიკის ანალიზი“ წინაპირობად განისაზღვროს „საჯარო მმართველობის საფუძვლები და განვითარების თანამედროვე ტენდენციები“;

6. რეკომენდებულია, მოხდეს მემორანდუმების განახლება;

7. ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდები გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებთან;

8. რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს ახალი მექანიზმები პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროგრამის შემუშავებაში ჩართულობის გასაძლიერებლად და სასწავლო კურსების სილაბუსების შექმნაში მათი ჩართულობის გადასამოწმებლად;

9. რეკომენდირებულია დაიგეგმოს ტრენინგები კურიკულუმის და სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიაში;

10. რეკომენდირებულია ხარისხის სამსახურმა აამოქმედოს შიდა ხარისხის მექანიზმები.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია

შპს ალტეს უნივერსიტეტმა მოცემულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა 2022 წლის 9 დეკემბერს. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 10 დეკემბრის MES 2 21 0001351860 გადაწყვეტილებით საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია შვიდი წლის ვადით. მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად განესაზღვრა ერთი წელი (2022 წლის 11 დეკემბერი). საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მიზნით დაწესებულებამ შეიმუშავა აკრედიტაციის რეკომენდაციების /რჩევების შესრულების მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზე პროგრამის კომიტეტის და დაწესებულების სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლების მიერ განხორციელებული იქნა რიგი ცვლილებები საგანმანთლებლო პროგრამაში და წარმოადგინა განხორციელებული ცვლილებების შესახებ ანგარიში.

რჩევ(ებ)ი

1. პროგრამის მიზნების მიღწევისთვის სასურველია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის სრულყოფა;

2. სასურველია პროგრამაში შეთავაზებული ინგლისურენოვანი სავალდებულო და არჩევითი კურსები ისწავლებოდეს მხოლოდ ბოლო მე-6 ნაწილის პროფესიული ინგლისური ენის სწავლების დასრულების შემდეგ, რომ სრულფასოვნად იყოს მიღწეული სწავლის შედეგები;

3. სასურველია, კურიკულუმს დაემატოს შესავალი კურსი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ან გაძლიერდეს საბაზისო ცოდნა სხვადასხვა თეორიული სკოლების ძირითადი მახასიათებლებისა და დარგის ტერმონოლოგიის შესახებ;

4. მიზანშეწონილია არჩევით ბლოკში დაემატოს სპეციალობის შესაბამისი ეკონომიკური პროფილის სასწავლო კურსები;

5. პროგრამას დაემატოს სტაჟირების კომპონენტი (არჩევითი სტატუსით);

6. საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია მოხდეს შეფასების თითოეული კომპონენტის და განსაკუთრებით მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ნათლად ფორმულირება სასწავლო კურსის სილაბუსებში;

7. უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობისა და დასაქმების შესაძლებლობის გაფართოების მიზნით, გაგრძელდეს საქართველოში მოქმედ კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების პროცესები;

8. სასურველია მაქსიმალურად იქნას ათვისებული და გამოყენებული როგორც სტუდენტების, ასევე პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა EMIS-ის მექანიზმი და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის ერთიანი სისტემა;

9. სასურველია პროგრამის წარმომადგენლებმა შეიმუშაონ ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტების მეტად ჩართულობას პროგრამის თვითშეფასების, დახვეწისა და გაუმჯობესების პროცესებში;

10. სასურველია სამომავლოდ პროგრამის წარმომადგენლების აქტიური ხელშეწყობით, გაიზარდოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებში და კვლევით პროექტებში საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლი;

11. სასურველია პოტენციურ დამსაქმებლების წრის გაფართოება;

12. სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების

13. ანალოგიურ პროგრამებთან, რომელიც წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ანგარიშის სახით სასურველია, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი იყოს წარმოდგენილი გრძელვადიანი სტატუსით თვითშეფასების ჯგუფში, სასურველია სტუდენტების წახალისება/ჩართვა ექსტრაკურიკულურ აქტივობებში.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია

შპს ალტეს უნივერსიტეტმა მოცემულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების გარდა გაითვალისწინა ზოგიერთი რჩევაც. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 10 დეკემბრის MES 2 21 0001351860 გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების შესრულების მიზნით პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განიხილა თითოეული რჩევა, მოახდინა ადეკვატური ცვლილებები საგანმანთლებლო პროგრამაში და წარმოადგინა განხორციელებული ცვლილებების შესახებ ანგარიში.

დამატებითი ინფორმაცია

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია	
შეფასება	
რჩევა I	სასურველია პროგრამაში შეთავაზებული ინგლისურენოვანი სავალდებულო და არჩევითი კურსები ისწავლებოდეს მხოლოდ ბოლო მე-6 ნაწილის პროფესიული ინგლისური ენის სწავლების დასრულების შემდეგ, რომ სრულფასოვნად იყოს მიღწეული სწავლის შედეგები;
შეფასება	რჩევა ნაწილობრივ გათვალისწინებულია სამუშაო ჯგუფის მიერ. რჩევის შესაბამისად მოხდა ინგლისურენოვანი არჩევითი სასწავლო კურსის მეხუთე სემესტრიდან მოხსნა და მეექვსე სემესტრში დატოვება, რაც განპირობებულია ინგლისური ენის საფუძვლიანი სწავლების აუცილებლობით.
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია	
შეფასება	
რჩევა II	მიზანშეწონილია არჩევით ბლოკში დაემატოს სპეციალობის შესაბამისი ეკონომიკური პროფილის სასწავლო კურსები;
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია, სამუშაო ჯგუფის მიერ რჩევის შესაბამისად მოხდა პროგრამის კურიკულუმში სასწავლო კურსის მაკროეკონიკის დამატება არჩევითი

	საგნების ბლოკში.
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი სილაბუსი - მაკროეკონომიკა.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსები
რეკომენდაცია I	რეკომენდირებულია დაზუსტდეს სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო უსაფრთხოება“ წინაპირობა ან მოხდეს სასწავლო კურსის მოდიფიკაცია სწავლების საფეხურის შესაბამისად.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. რეკომენდაციის შესრულების უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფის მიერ „საერთაშორისო უსაფრთხოების“ პრერეკვიზიტად განისაზღვრა სასწავლო კურსები ნატო-ევროატლანტიკური სივრცის პოლიტიკური და უსაფრთხოების განზომილებები და მულტიპოლარული მსოფლიო-საერთაშორისო ორგანიზაციები.
რჩევა III	სასურველია, კურიკულუმს დაემატოს შესავალი კურსი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ან გაძლიერდეს საბაზისო ცოდნა სხვადასხვა თეორიული სკოლების ძირითადი მახასიათებლებისა და დარგის ტერმონოლოგიის შესახებ.
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია, სამუშაო ჯგუფის მიერ რჩევის შესაბამისად მოხდა სასწავლო კურსში საერთაშორისო ურთიერთობები: თეორიები, კონცეფციები, დისკუსიები სასწავლო კურსის პირველ თემაში - საერთაშორისო ურთიერთობების ტერმინოლოგია დამატება, რომელიც უზრუნველყოფს რჩევით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას.
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების

	თაობაზე ანგარიში; საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი; სილაბუსი - საერთაშორისო უსაფრთხოება; სილაბუსი - ნატო-ევროატლანტიკური სივრცის პოლიტიკური და უსაფრთხოების განზომილებები ; სილაბუსი - მულტიპოლარული მსოფლიო-საერთაშორისო ორგანიზაციები; სილაბუსი - საერთაშორისო ურთიერთობები: თეორიები, კონცეფციები, დისკუსიები.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია II	რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობის თანამედროვე განზომილება“ წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების შესავალი კურსები, ინგლისური ენა (3 ან 4) და შესაბამისად, გადანაცვლდეს კურიკულუმში.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. რეკომენდაციის შესრულების უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა სასწავლო კურსის - საერთაშორისო ურთიერთობის თანამედროვე განზომილების პრერეკვიზიტად სასწავლო კურსების: საერთაშორისო ურთიერთობები: თეორიები, კონცეფციები, დისკუსიები, საერთაშორისო უსაფრთხოების და ინგლისური ენა 4 განსაზღვრა.
რჩევა IV	საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია მოხდეს შეფასების თითოეული კომპონენტის და განსაკუთრებით მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ნათლად ფორმულირება სასწავლო კურსის სილაბუსებში;
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია. მისი შესრულების უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსებში: - გადაწყვეტილების მიღება ევროკავშირში და ინსტიტუციონალური წესრიგი; - საერთაშორისო უსაფრთხოება; -საერთაშორისო ურთიერთობები: თეორიები, კონცეფციები, დისკუსიები;

	- ნატო - ევროატლანტიკური სივრცის პოლიტიკური და უსაფრთხოების განზომილებები; - ოკუპაცია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები და არაღიარების პოლიტიკა; - საერთაშორისო საჯარო სამართალი; - საჯარო მმართველობის საფუძვლები და განვითარების თანამედროვე ტენდენციები; - სუვერენიტეტი, ადამიანის უფლებები და საერთაშორისო მართლმსაჯულება; - საერთაშორისო ურთიერთობის თანამედროვე განზომილება; - საქართველოს საგარეო პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში; - საჯარო პოლიტიკის ანალიზი; - კვლევის მეთოდები; - ევროკავშირის გაფართოება და ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ; - თანამედროვე ევროპა; - საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგიული ასპექტები განისაზღვრა შეფასების კომპონენტების მინიმალური ზღვარი.
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი; სილაბუსი - საერთაშორისო ურთიერთობის თანამედროვე განზომილება; სილაბუსი - გადაწყვეტილების მიღება ევროკავშირში და ინსტიტუციონალური წესრიგი; სილაბუსი -საერთაშორისო უსაფრთხოება; - საერთაშორისო ურთიერთობები: თეორიები, კონცეფციები, დისკუსიები; სილაბუსი - ნატო - ევროატლანტიკური სივრცის პოლიტიკური და უსაფრთხოების განზომილებები; სილაბუსი- ოკუპაცია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები და არაღიარების პოლიტიკა; სილაბუსი - საერთაშორისო საჯარო სამართალი; სილაბუსი -საჯარო მმართველობის საფუძვლები და განვითარების თანამედროვე ტენდენციები; სილაბუსი - სუვერენიტეტი, ადამიანის უფლებები და საერთაშორისო მართლმსაჯულება; სილაბუსი - საერთაშორისო ურთიერთობის თანამედროვე განზომილება; სილაბუსი - საქართველოს საგარეო პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში;

	სილაბუსი - საჯარო პოლიტიკის ანალიზი; სილაბუსი - კვლევის მეთოდები; - ევროკავშირის გაფართოება და ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ; სილაბუსი - თანამედროვე ევროპა; სილაბუსი - საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგიული ასპექტები.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია III	სასწავლო კურსი „საქართველოს საგარეო პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში“ წინაპირობის გარეშეა წარმოდგენილი. რეკომენდებულია, წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციებში“;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. რეკომენდაციის შესრულების უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფის მიერ სასწავლო კურსის საქართველოს საგარეო პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში წინაპირობად განისაზღვრა სასწავლო კურსის საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციებში.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი; სილაბუსი - საქართველოს საგარეო პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია IV	რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის „საჯარო პოლიტიკის ანალიზი“ წინაპირობად განისაზღვროს „საჯარო მმართველობის საფუძვლები და განვითარების თანამედროვე ტენდენციები“;

შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. რეკომენდაციის შესრულების უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფის მიერ სასწავლო კურსის საჯარო პოლიტიკის ანალიზი წინაპირობად განისაზღვრა საჯარო მმართველობის საფუძვლები და განვითარების თანამედროვე ტენდენციები.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი; სილაბუსი - საჯარო პოლიტიკის ანალიზი.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია V	პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის რეკომენდებულია, გახდეს სავალდებულო კვლევის მეთოდები
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. რეკომენდაციის შესრულების უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფის მიერ სასწავლო კურსი კვლევის მეთოდები გადმოტანილ იქნა მეორე სემესტრში და გახდა სავალდებულო სასწავლო კომპონენტი.
რჩევა V	პროგრამას დაემატოს სტაჟირების კომპონენტი (არჩევითი სტატუსით);
შეფასება	რჩევა არ იქნა გათვალისწინებული მიზანშეუწონლობის გამო.
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი სილაბუსი - კვლევის მეთოდები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაციაVI	რეკომენდებულია, მოხდეს მემორანდუმების განახლება
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშით ირკვევა და რაც წარმოდგენილი მემორანდუმითაც მტკიცდება დაწესებულების მიერ ურთიერთანამშრომლობის ახალი მემორანდუმი გაფორმდა კიევის საავიაციო უნივერსიტეთან, რეკომენდაციის კვალობაზე მემორანდუმების განახლებასთან დაკავშირებით უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშში აღნიშნულია რომ დაწესებულებამ 10 უნივერსიტეტთან მიზანშეწონილად არ ჩათვალა მემორანდუმებისთვის ვადის გაგრძელება ხოლო ისეთ ორგანიზაციებთან როგორიც არის სამხრეთ კავკასიაში ევროპის საჯარო ორგანიზაცია, ევროპულ-ქართული ინსტიტუტი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფონდი მათთან მემორანდუმები უვადოდ არის დადებული და განახლებას არ საჭიროებს.
რჩევა VI	სასურველია სტუდენტების წახალისება/ჩართვა ექსტრაკურიკლურ აქტივობებში.
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია, როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების შესწავლით დგინდება დაწესებულება აქტიურად ახორციელებს ექსტრაკურიკლურ აქტივობებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტებისთვის დამატებითი ცოდნის მიცემას და უნარების განვითარებას.

მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში 2022 წელს ჩატარებული ღონისძიებების კალენდარი; საჯარო ლექციის დოკუმენტი - ევროკავშირში გაწევრიანების ინსტიტუციონალური და და სამართლებრივი ასპექტები; კონფერენციის პროგრამა - რუსეთის ომი უკრაინაში; მემორანდუმი უკრაინის ეროვნული ავიაციის უნივერსიტეტთან; მემორანდუმი სამხრეთ კავკასიაში ევროპის საჯარო ორგანიზაციასთან; მემორანდუმი ევროპულ-ქართული ინსტიტუტთან; მემორანდუმი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ; მემორანდუმი საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფონდთან.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 სწავლება სწავლის მეთოდები
რეკომენდაცია VII	ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდები გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებთან
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. რეკომენდაციის შესრულების უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფის მიერ ზოგიერთ სასწავლო კურსის სილაბუსში: საერთაშორისო უსაფრთხოება; -საჯარო მმართველობის საფუძვლები და განვითარების თანამედროვე ტენდენციები; - ევროკავშირის გაფართოება და ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ; - თანამედროვე ევროპა; - საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგიული ასპექტები, განხორციელდა ცვლილება და სწავლების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებთან.
რჩევა	
შეფასება	

მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; სილაბუსი -საერთაშორისო უსაფრთხოება; სილაბუსი -საჯარო მმართველობის საფუძვლები და განვითარების თანამედროვე ტენდენციები; სილაბუსი - ევროკავშირის გაფართოება და ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ; სილაბუსი - თანამედროვე ევროპა; სილაბუსი - საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგიული ასპექტები.

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მხარდამჭერი სერვისები
რეკომენდაცია	
შეფასება	
რჩევა VII	პროგრემის მიზნების მიღწევისთვის სასურველია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის სრულყოფა
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია. ამ მიზნით დაწესებულებამ შეიმუშავა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს უცხოელი სტუდენტების მიღების, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის; ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამების; კვლევითი პროექტების ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობის; საერთაშორისო კონფერენციების და სხვა აკადემიურ ასპექტებს.
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; ალტე უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის კრების ოქმით).

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწეევები, მათთან ინდივიდუალური

	მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მხარდამჭერი სერვისები
რეკომენდაცია	
შეფასება	
რჩევა VIII	უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობისა და დასაქმების შესაძლებლობის გაფართოების მიზნით, გაგრძელდეს საქართველოში მოქმედ კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების პროცესები;
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია. ამ მიზნით დაწესებულება პროდუქტიულად იყენებს პარტნიორულ ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებს და სტუდენტებისთვის ქმნის პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობისა და დასაქმების შესაძლებლობას.
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს - „ალტე უნივერსიტეტსა“ და საქართველოს ატლანტიკური ხელშეკრულების ახალგაზრდული ასოციაციას შორის. ბმული: - https://www.facebook.com/282155251879795/posts/pfbid02nSrFLdbJiFQiz8qVobPuySAhekGhFJWkbkdrgByPMV9TBhseuK7hCoPQJdbqT2SWl/?mibextid=cr9u03

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევევბი, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მხარდამჭერი სერვისები
რეკომენდაცია	
შეფასება	
რჩევა IX	სასურველია მაქსიმალურად იქნას ათვისებული და გამოყენებული როგორც სტუდენტების, ასევე პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა EMIS-ის მექანიზმი და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის ერთიანი სისტემა
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია. ამ მიზნით დაწესებულება

	აქტიურად იყენებს სასწავლო პროცესის რეგულირების წესში გაწერილ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის EMIS-ის მექანიზმებს და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის ერთიანი სისტემის მართვის წესს, რაც დგინდება უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშით.
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს 2022 წლის 12 იანვრის კრების ოქმით).

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მხარდამჭერი სერვისები
რეკომენდაცია	
შეფასება	
რჩევა X	სასურველია პროგრამის წარმომადგენლებმა შეიმუშაონ ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტების მეტად ჩართულობას პროგრამის თვითშეფასების, დახვეწისა და გაუმჯობესების პროცესებში;
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია. ამ მიზნით დაწესებულებამ შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამის განვი-თარებაში სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/დამსაქ-მებელთა ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტის მიზანია სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა აქტიურად და უწყვეტად ჩართვის უზრუნველყოფა როგორც აკადემიური პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების, ისე თვითშეფასების პროცესში, შედეგად კი - პროგრამის განვითარება აღნიშნული დაინტერესებული მხარეების მოსაზრებე-ბის/გამოცდილების გათვალისწინებით. წარმოდგენილი

	დოკუმენტების შესწავლით დგინდება რომ დაწესებულებას დოკუმენტში მოცემული მექანიზმები უკვე შემუშავებული აქვს.
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები (გაიდი); სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვის ანკეტა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი; სტუდენტებისთვის აკადემიური და მოწვეული პერსონალის (ლექტორის) შეფასების კითხვარი; სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვის ანკეტა სასწავლო პროცესის და მატერიალურ–ტექნიკური რესურსის შეფასების კითხვარი; ელექტრონული/დისტანციური სასწავლო პროცესის შეფასება (სტუდენტებისთვის); საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის ინსტრუქცია.

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მხარდამჭერი სერვისები
რეკომენდაცია	
შეფასება	
რჩევა XI	სასურველია სამომავლოდ პროგრამის წარმომადგენლების აქტიური ხელშეწყობით, გაიზარდოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებში და კვლევით პროექტებში საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებელი
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია. როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშით დგინდება საანგარიშო პერიოდში პროგრამის სტუდენტები მონაწილეობდნენ საერთაშორისო ფორუმებში (რომის ტორ ვერგატის

	უნივერსიტეტი (იტალია), reconciliation For Gender Equity (დიდი ბრიტანეთი), ნანტის მუნიციპალიტეტის ფორუმი (საფრანგეთი)).
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში.

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მხარდამჭერი სერვისები
რეკომენდაცია	
შეფასება	
რჩევა XII	სასურველია პოტენციურ დამსაქმებლების წრის გაფართოება
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია. ამ მიზნით უნივერსიტეტმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა საქართველოს ატლანტიკური ხელშეკრულების ახალგაზრდული ასოციაციასთან და როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშით დგინდება ამ მიმართულებით აგრძელებს აქტიურ მუშაობას.
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს - „ალტე უნივერსიტეტსა“ და საქართველოს ატლანტიკური ხელშეკრულების ახალგაზრდული ასოციაციას შორის.

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1 ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია VIII	რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს ახალი მექანიზმები პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროგრამის შემუშავებაში ჩართულობის გასაძლიერებლად და სასწავლო კურსების სილაბუსების შექმნაში მათი ჩართულობის

	გადასამოწმებლად;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. რეკომენდაციის შესრულების უზრუნველსაყოფად დაწესებულებამ შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში აკადემიური/მოწვეული პერსონალის მაქსიმალური ჩართულობას და ამ პროცესზე ქმედითი კონტროლის განხორციელებას.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; დოკუმენტი - საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის ინსტრუქცია; დოკუმენტი - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესი; დოკუმენტი - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესები.

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითრება
რეკომენდაცია IX	რეკომენდირებულია დაიგეგმოს ტრენინგები კურიკულუმის და სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიაში
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. რაც მიღწეულ იქნა იმით რომ დაწესებულებამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა ტრენინგები სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდოლოგია და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგია, ტრენინგები დაფუძნებული იყო დაწესებულებაში მოქმედ ისეთ მექანიზმებზე როგორიცაა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები (მეთოდური სახელმძღვანელო) და საგანმანთლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები.

რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები (მეთოდური სახელმძღვანელო) ; საგანმანთლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები; დოკუმენტი - ტრენინგის თემა: საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგია; დოკუმენტი - ტრენინგის თემა: სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდოლოგია.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1. შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია X	რეკომენდირებულია ხარისხის სამსახურმა აამოქმედოს შიდა ხარისხის მექანიზმები.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. რაც მიღწეულ იქნა იმით რომ დაწესებულებამ საანგარიშო პერიოდში განახორციელა პროგრამის შეფასება. შეფასებამ მოიცვა პროგრამის მატერიალურ რესურსის, პერსონალის, პროგრამის კომპონენტების და მიმდინარე სემესტრის სასწავლო პროცესის შეფასება.
რჩევა XIII	სასურველია, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი იყოს წარმოდგენილი გრძელვადიანი სტატუსით თვითშეფასების ჯგუფში
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია. რაც დგინდება იმით რომ დაწესებულებამ შეიმუშავა და წარმოადგინა დოკუმენტები - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში სტუდენტთა/კურსდამთავრეულთა/და-მსაქმებელთა ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები (გაიდი). აღნიშნული დოკუმენტის (გაიდის) მიზანია სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა აქტიურად და უწყვეტად ჩართვის უზრუნველყოფა როგორც აკადემიური პროგრამის

	შემუშავების/მოდიფიცირების, ისე თვითშეფასების პროცესში, შედეგად კი - პროგრამის განვითარება აღნიშნული დაინტერესებული მხარეების მოსაზ-რებების/გამოცდილების გათვალისწინებით.
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; დოკუმენტი - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში სტუდენტთა/კურსდამთავრებულთ-ა/დამსაქმებელთა ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები (გაიდი); დოკუმენტი - საერთაშორისო ურთიერთობები საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასების შედეგების დანერგვის პრაქტიკა ანგარიში ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტი; დოკუმენტი - საერთაშორისო ურთიერთობები საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასების შედეგები ანგარიში ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტი; დოკუმენტი - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესები.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია	
შეფასება	
რჩევა XIV	სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რომელიც წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ანგარიშის სახით
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია. რაც ვლინდება იმით რომ დაწესებულებამ შეიმუშავა პროგრამის საერთაშორისო ანალოგებთან შედარების სარეკომენდაციო ფორმა, რომლითაც მოხდება აღნიშნული ქმედების განხორციელება. როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესების დოკუმენტით ირკვევა 2 წელიწადში ერთხელ ხდება პროგრამის დადარება

	უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; დოკუმენტი- პროგრამის საერთაშორისო ანალოგებთან შედარების სარეკომენდაციო ფორმა; დოკუმენტი- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესები.

ექსპერტის ხელმოწერა ირაკლი მანველიძე